ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 53

ქ. გარდაბანი 24 თებერვალი, 2014 წელი

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73), წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ონიანის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „იბერია ტექ ავტომოტივი" (მის: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე". „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კია „Rio" (სახ ნომ. FXF -176)-ს 4 (ოთხი) ცალი საბურავის (185/65R 15 88T Barum Brillantis 2)მიწოდებაზე (თანდართული ინვოისის შესაბამისად);

2.3 კლასიფიკატორის კოდი: 50100000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **400** (ოთხასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 4.2 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

4.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტისგაფორმებით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი (ა/მანქანებზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი).

5.3. მიმწოდებელი და ხელშეკრულების შესრულებაზე მიმწოდებლის მხრიდან ინსპექტირების გაწევაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებლები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე.

6. მომსახურების გაწევის ვადა

ასახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 მარტის ...ლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" ვალდებულების შესრულებისას

მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

8. ინსპექტირების პირობები

8.1 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ ვალდებულებას ინსპექტირებას უწევს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი (ამ/მანქანაზე პასუხისმგებელი პირი).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.

ელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

მეორე მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ რანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 15 მაისის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
გარდაბნის მუნიციპალიტეტი მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73 საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204 ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ბ.კ. № LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE59LB0120137100012000	შპს „იბერია ტექ ავტომოტივი" მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. საიდენტიფიკაციო კოდი: 236093473 სს „საქართველოს ბანკი" ბ.კ. № BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE29BG0000000153512100

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	შპს „იბერია ტექ ავტომოტივი" სამართლებრივი დირექტორი
----------	----------
ზაზა ონიანი	ლაშა მიგინეიშვილი

...ადღ ება! მ ოცემულ ი ანგარ იშის გ ადახდ ა გ ულ ისხმ ობს საქ ონ ლ ის მ იწ ოდ ების პ ირ ობ ებ ზე თ ანხ მ ობ ას. შ ეტ ყ ობ ინ ება ...ის შ ესახ ებ ა აუ ცილ ებ ელ ი ა, წ ინ ააღ მ დ ეგ შ ემ თ ხ ვ ევ ა ში საქ ონ ლ ის არ ს ებ ობ ა საწ ყ ობ ებ ზ ე არ აა გ არ ანტ ირ ებ ულ ი. საქ ონ ელ ი ...აიტ ვ ირ თ ებ ა მ ომ წ ოდ ებ ლ ის ს/ა-ზ ე თ ანხ ის მ ოს ვ ლ ის დ აფ ი ქ სირ ებ ისას, ნ დ ობ ის და პ ას პ ორ ტ ის არ ს ებ ობ ის შ ემ თ ხ ვ ევ ა ში.

შ.პ.ს „იბერ ია ტ ექ ავ ტ ომ ოტ ივ ი 1" ს/ა GE29BG0000000153512100 ს/ს „საქ ართ ველ ოს ბ ანკ ი" თ ბ ილ ისი მ იმ ღ ებ ი		ანგ. №	GE29BG0000000153512100
გ სნ 236093473	ა ამ კ		
ს/ს „საქ ართ ველ ოს ბ ანკ ი" მ იმ ღ ებ ის ბ ან კ ი		ბ სკ ანგ. №	BAGAGE22

ანგ არ იშ ი გ ად ახ დ აზ ე № 77 24 თ ებ ერ ვ ალ ი 2014

მ ომ წ ოდ ებ ელ ი 236093473, შ.პ.ს „იბ ერ ია ტ ექ ავ ტ ომ ოტ ივ ი 1", მ ცხ ეთ ა, დ ავ ით აღ მ აშ ენ ებ ელ ის ქ.

მ ყ იდ ვ ელ ი: 226573204, გ არ დ აბ ნ ის მ უ ნ იც იპ ალ ი ტ ეტ ი, გ არ დ აბ ნ ის რ აი ონ ში / აღ მ აშ ენ ებ ლ ის 73

#	არ ტ იკ ულ ი	საქ ონ ელ ი	რ აო დ.	ერ თ.	ფ ას ი	თ ან ხ ა:
1	15404050000	185/65R15 88T Barum Brillantis 2	4	ც ალ ი	100,00	400,00

ს ულ : 400,00

მ ათ შ ორ ის დ ღ გ: 61,02

დ ას ახ ელ ებ ებ ი ს ულ 1, თ ან ხ ა ზ ე 400,00 GEL

ო თ ხ ას ი ქ ართ ულ ი ლ არ ი და 00 თ ეთ რ ი

მ ენ ეჯ ერ ი _____ /ირ აკ ლ ი გ ეგ ე ჭ კ ორ ი/

„იბერია ტექ ავტომოტივ" * IBERIA TECH AUTOMOTIVE LTD * 236093473